№ 149
ოთხშაბათი, 12 ივლისი, 1900 წ.

**ხაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 149
ოთხშაბათი, 12 ივლისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ.-მამულო ბანკის ზედამხედველი

## კომიტეტი

აცხადებს ამ ბანკის იმ რწმუნებულთა საყურადღებოდ, რომელნიც თავად აზნაურთა მიერ არიან არჩეულნი, რომ მათი ამორჩევა, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ამა წლის 21 მარტის კრების ოქმის თანახმად, გადადებულ იქმნა გუბერნიის თავად-აზნაურთა მომავალ მორიგ კრებამდე. (3—6.—3)

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

## ნასიძე

15 ივლისიდამ ამა წლისა იცხოვრებს მუდმივად ქ. სიღნაღში.

შეუდგენს მსურველთ ყველანაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12 მდე და საღამოობით 5—7-მდე. (30—ე.—5)

## ქუთაისის პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ჰურკლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში

1 ივნისიდგან გადატანილ იქმნა ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—ნ.—24)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მუღინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ვ. გ. წერეთელი**, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკოვიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. საქოსტაქრო.

**ი. დ. ბაგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (კარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**შ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. მძელიშვილი.** $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Павасардiана*.

Тифлисъ, противъ памяти. Воронцову.

## მკურნალი

## ვ. გ. წერეთელი

იღებს

შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9—12 საათამდე. და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (უ)

## ახალი ამბავი

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარია აცხადებს, რომ აღმოსავლეთ ენათა ლაზარევის ინსტიტუტში (მოსკოვშია) კავკასიელ სტიპენდიანტებისათვის სულ ხუთი თავისუფალი ადგილია ამ წელსაო. თავისუფალ ადგილზედ მიიღებიან კავკასიელი ყველა ყმაწვილები წოდებისა და სარწმუნოების განურჩევლად, მაგრამ 1-ლისა და მე-2 კლასისათვის წლოვანება 10—13 ს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო მე-3 და მე-4 კლასისათვის 15 წლისაზედ მეტისა არ უნდა იყვნენო. გარდა ამისა, კანცელარია აცხადებს, რომ ორი თავისუფალი ადგილი კავკასიელებისათვის უმანის სამიწად-მოქმედო სასწავლებელშიაც არის, სადაც მხოლოდ პირველს სამს კლასშიაო თავისუფალი ადგილი; პირველს კლასში შემსვლელი 14-დგან 16-ამდე მეტისა არ უნდა იყოს, ხოლო მე-2 და მე-3-ში შემსვლელთათვის თითო წელიწადი-და წაემატებაო. თხოვნების მიცემა 5 აგვისტომდე შეიძლება. თხოვნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს უნდა გაეგზავნოს და თანვე დ ერთოს სიღარიბის მოწმობა, სამხედროთათვის—სამხედრო მთავრობისაგან, სამოქალაქო წოდებისათვის—გუბერნატორისაგან.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ახალი, ეგრედ წოდებული ტარდიეს სითხე გამოუწერია ვენახების საწამლებლადა. სითხე სპილენძის შაბიამნისაგან შესდგებაო.

*** მკითხველებს ახსოვთ, ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის ბ-ნ დიაკონოვის განაჩენი, რომლითაც ქ-ნ ს. არაფელოვისას 7 დღით დაპატიმრება გარდაეწყვიტა სამრევლო სკოლების გალობის მასწავლებლის ს. გ. წერეთლის ქურდობაში ცილის დაწამების გამო. ეხლა ქ-ნ არაფელოვის ვექილს ბ-ნს ტურკევიჩს უკვე შეუტანია სააპელაციო საჩივარი მოსამართლის განაჩენზედ ტფილისის ოლქის სასამართლოში, რომელშიაც აცხადებს, რომ მოქმედება ქ-ნ არაფელოვისა სრულიად არ ეთანხმება სასჯელთა დებულების მე-360 მუხ., რადგანაც წერეთელსა და არაფელოვს შორის არავითარი ნაცნობობა და ინტერესი არა ყოფილა, რომ არაფელოვისას განზრახვით მისთვის ქურდობა დაებ-

## ფელეტონი

### მე-XIX საუკუნის პროგრესში იტალიას რა ღვაწლი მიუძღვის.

(პაოლო ლომბროზოს ხელთნაწერიდგან)

როდესაც ევროპის ერთა ნამოღვაწევს ვითვალისწინებთ ამ უკანასკნელ მე XIX საუკუნის განმავლობაში, უნებურად განუსაზღვრელს პატივისცემასა ვგრძნობთ მათდამი ნამოქმედარის წინაშე. აღნიშნული საუკუნე უძველეს დროთა სათაყვანო ღვთაებას გვაგონებს, რომლის წინაშეც ყოველ მხრიდგან მსხვერპლსამწირველო ძღვნით მიისწრაფოდნენ, რომ მისდა სადიდებლად ტაძარი აეგოთ. ეს დიდებული, ბუმბერაზი ტაძარი, რომლის შექმნაშიაც ქვეყნის ყოველი ერი ერთი მეორეს ეცილებოდა, არის ტაძარი განათლებისა, ტაძარი პროგრესისა.

ევროპას ყველა ერნი, რომელნიცკი ამ დიდებულის ტაძრის შექმნაში მონაწილეობას იღებდნენ, ერთნაირად ერთგულადა და კეთილშობილურის გატაცებით იღვწოდნენ; მიუხედავად ამისა, აუცილებლად საჭიროა აღვნიშნოთ, თუ თითოეულმა მათგანმა რა მონაწილეობა მიიღო, რომ მომავალს თაობას შეეძლოს თავისი გარკვეული აზრი იქონიოს,—რომელმა ერმა რა შემოიქმედა ამ საერთო ბრძოლაში, ბრძოლაში, რომელსაც აზრად ჰქონდა საიდუმლოებით მოცულ მეცნიერებისათვის ფარდა აეხადნა და მით ყოველივე ნათლად დაენახვებინა ადამიანისათვის, გაერკვია და გაეთვალისწინებინა გზა, რომელიც ამ მხრივ (მეცნიერების) განვლო კაცობრიობამ.

რაც შეეხება ორთქლის ძალასა და ცხოვრებაში მის გამოყენებას, ამ მხრივ ინგლისს პირველი ადგილი უჭირავს; ორთქლის ყოველგვარი მანქანები და რკინის გზა ინგლისის გამოგონილია. ინგლისმავე შემოიღო სახმარებლად ქვის ნახშირი და მანათობელი გაზი (свѣтильный газъ). ინგლისისავე მადლობელნი უნდა ვიყვნეთ ჯენნერის აღმოჩენისა (ყვავილის აცრისა) და ლისტერის ანტისეპტიურ მეთოდის აღმოჩენისათვის, რომელმაც მკურნალობაში და კერძოდ დოსტაქრობაში სრულიად ახალი ხანა შეჰქმნა. დიდია აგრეთვე კაცობრიობის წინაშე ღვაწლი და სამსახური ინგლისელ სწავლულის დარვინისა, რომლის შესანიშნავი გამოკვლევანიც მთელს თანამედროვე მეცნიერებასა და ყველა თანამედროვე სამეცნიერო მეთოდებს საფუძვლად დაედო. ამავე დროს პოლიტიკურ ეკონომიის პრინციპები სულ პირველად ინგლისელ სწავლულთ რიკარდომა და კობდენმა დაადგინეს, ხოლო დავით იუმისა და ჯონ სტუარტ მილლის სახელი და ნაწარმოებნი ხომ მთელმა განათლებულმა ქვეყნიერობამ გაიცნო.

მაგრამ წარსულ საუკუნის უდიდესი სამეცნიერო აღმოჩენანი წილად საფრანგეთსა ჰხვდა. საკმარისია თუნდაც მარტო კიუვიესი, სენტ-ილლერისა, კლოდ ბერნარისა და დასასრულ, დიდებულის პასტერის სახელი გავიხსენოთ, რომელმაც შეჰქმნა თეორია სასმელთა და სხ. დუღილისა და საძირკველი ჩაუყარა მაშინ ჯერედ უცნობს მეცნიერებას ბაქტერიოლოგიას, რომ საფრანგეთი მომაკვდავთა შორის უკვდავი შეიქმნას. მარტო მისმა ცოფის წინააღმდეგ წამლობამ რა შეღავათი მისცა კაცობრიობას. მაგრამ ამავე დროს არც ბროუნ-სეკარი უნდა დავივიწყოთ, ეს მეტად გაბედული და შესანიშნავი აღმოჩენათა ნიჭის პატრონი ფიზიოლოგოსი ჩვენის საუკუნისა. ფსიხიატრიულს მეცნიერებაში ხომ ჰიპნოტიზმისა და ისტერიის შესახებ შარკოს მიერ ნაკვლევი აღმოჩენანი სრულიად ახალს გზაზედ აყენებენ მეცნიერებას და სხ. მაგრამ საფრანგეთის დიადი ღვაწლი ქვეყნის წინაშე მარტო ზემოდ აღნიშნულ სახელებით არ განისაზღვრება. შესანიშნავ მეცნიერთა შორის დედა-მიწის ზურგზედ საპატიო ადგილი უჭირავთ მწერლობაში აზრის განმტკიცებელთ ოგიუსტო კონტს, ტენსა და რენანს, რომელთაც მთელი განათლებული კაცობრიობა კითხულობს და სცნობს ისრევე, როგორც სუეზის არხის გამთხრელს გენიოსს ლესსეპსა სცნობს.

არც გერმანია ჩამორჩა საფრანგეთსა. ქიმიურს სინტეზს დასაწყისი ლიბიხმა მისცა და ამით მრეწველობის სხვა-და-სხვა დარგს ახალი გზა უჩვენა, გაამდიდრა; გელმგოლცმა სინათლისა და ხმის უკვდავი კანონები მოგვცა. ვირხოვმა ფიზიოლოგიას უჯრედების თეორია შეუწონა, გეკკელმა ემბრიოლოგიის დაფარულს მხარეს ნათელი მოაყენა და მით ერთ დროს საიდუმლოებით მოცული ყველასათვის საცნაურ-ჰყო, ვუნდტმა კიდევ ექსპერიმენტალურს ფსიხოლოგიას ჩაუყარა საძირკველი. საზოგადოდ კაცობრიობის ცოდნათა სალაროში გერმანიამ ერთობ დიდი სიმდიდრე შეიტანა. ამ ბოლო დროს კოხის მიერ ხოლერისა და ჭლექის ჩხირის (მიკრობის) აღმოჩენამ ხომ მთელს სამკურნალო მეცნიერებაში სრულიად ახალი ხანა შეჰქმნა; არც X-სხივების აღმოჩენაა ამ უკანასკნელზედ ნაკლები: მკურნალობაში ძირითადი ცვლილება მოახდინა მით, რომ მრავალი უხილავი სენი ამიერიდგან სრულიად ხილულ-ჰყო და ამრიგად მკურნალობასა, ხირურგიასა, ქიმიასა, მეხანიკასა და სხვათ ახალი გზა უჩვენა, ბევრი რამ არსებითად შესცვალა.

ამ რიგად, როდესაც ევროპის ერთა მიერ ამ საუკუნეში შეძენილს გონებითს სიმდიდრეს თვალს ვადევნებთ, ჩვენ, იტალიელებსაც, საამაყე გვიორკეცდება იმ ბედნიერის წარმოდგენით, რომ იტალია ევროპის დანარჩენ დიდებულს ერებს არ ჩამოჰრჩენია, საქვეყნო სამეცნიერო დიდებულ ტაძრის შექმნაში საპატიო მონაწილეობა მიუღია და, მაშასადამე, ევროპის დანარჩენ ერებთან ერთად იგიც ღირსია დიდების გვირგვინით შეიმკოს თავი. ხოლო თუ იმას გავიხსენებთ, რომ ნაპოლეონის მიერ მოოხრების შემდეგ იტალია

რალებინათ და სხვა. ბ-ნი ტურკევიჩი სთხოვს ოლქის სასამართლოს გაამართლოს ქ-ნი არაფელოვისა. ამასთანავე ბ-ნ წერეთლის ვექილმა ბ-ნმა გ. გძელიშვილმაც შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რომელშიაც სწერს — საქმის გარჩევის დროს სრულიად დამტკიცდა, რომ არაფელოვის ცოლმა ცილი დასწამა ბ-ნს წერეთელსაო, და თხოულობს, რომ ქ-ნ არაფელოვისას გარდაეწყვიტოს 3 თვით ციხეში დაპატიმრება.

*** ტფილისის საკანტროლო პალატის გამგე ბ-ნი ვ. გ. ბუტირკინი სამსახურის საქმეთა გამო ჩრდილო კავკასიაში წავიდა.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება ძაღლებზედ გარდასახადის შემოღების შესახებ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს კავკასიის მთავარმართებლისათვის წარუდგენია დასამტკიცებლად.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის 1-ლ განყოფილების სესსია 15-დგან 26 სექტემბრამდე იქმნება ქ. გორში.

*** ქალაქში რკინის ბოჩკებით ნავთის ტარება და გაყიდვა აღკრძალული იქმნა და ეცნობა პოლიციელებს, რომ ამიერიდგან გასასყიდად ნავთი ლითონის ბანკებით უნდა ატარონ, რომლებიც ნავთის საწყობშივე იქმნება დაბეჭდილი.

*** შემოდგომიდგან სხვა-და-სხვა საზოგადო შეკრებულებათა დარბაზებისა, ცირკებისა და თავშესართობ სახლების პატრონებს სასტიკად დაევალებათ, რომ წარმოდგენების დროს ერთი მკურნალი და ერთი ფერშალი უთუოდ იყოლიონ ხოლმე, რომლებმაც გულ შეღონებულთ და სხვა რაიმე მიზეზით უცბად შეწუხებულთ შემწეობა დაუყოვნებლივ უნდა აღმოუჩინონ. ამისათვის მკურნალსა და ფერშალს თავისი საკუთარი ოთახები და პატარა აფთიაქი უნდა ჰქონდეთ წამლებითა და შესახვეველ მასალით.

*** საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის იუბილეის აღსანიშნავლად, განზრახვა აქვთ კავკავში კადეტთა კორპუსი დააარსონ. კორპუსის შენობის საძირკვლის ჩაყრას 1901 წელს 1 სექტემბერს ფიქრობენ, საქართველოს რუსეთთან შეერთების დღეს.

*** სასამართლოს ბოქაულის კამერაში (პირველს ნაწილში) 14 ივლისს, დილის 10 საათზედ, სომხური გაზეთი „ნორ დარი“ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება სტამბის პატრონის შაჰნაზაროვის ვალში, რომელიც 3,000 მანეთამდე ასულა.

*** „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას“ თავ. თათარხან თენგიზის ძის დადეშკელიანისაგან ძველი ბერძნული ოქროს ფული მიუღია. ეს ფული ურპოვიათ სვანეთში რიცხვით სულ 11 ცალი. 10 ცალი ამ ფულისა დ-დ მთავარს შეუძენია 4,000 მან. და წაუღიათ პეტერბურგში, სადაც თითო ფული 2000 მან. დაუფასებიათ. ფული შესანიშნავის ხელოვნებით არის გაკეთებული. დაწვრილებით ცნობებს მკითხველთ მერე ვაუწყებთ.

*** სასულიერო მთავრობის განკარგულებით, დედათა სამრევლო სკოლების გახსნის შესახებ შუამდგომლობაში ამიერიდგან უთუოდ უნდა იქმნას აღნიშნული, თუ რამ გამოიწვია ქალთათვის ცალკე სკოლის დაარსების მოთხოვნილება, აგრეთვე ის, თუ ადგილობრივს საზოგადოებას რა ხარჯის გაწევა შეუძლიან სკოლის სადგომისათვის. ამ გვარი შუამდგომლობა პირველად ეპარქიის სამაზრო (საბლაღოჩინო) განყოფილებაში უნდა შეიტანონ, რათა ამ უკანასკნელმა შუამდგომლობის შესახებ თავისი აზრი წარმოუდგინოს მთავრობას.

*** ქალაქის მოურავის მოადგილემ გუშინვე მისცა წინადადება ქალაქის ინჟინერს, რომ ადგილობრივ გამოიძიოს დაწვრილებითი მიზეზი კარაპეტოვის სახლის დანგრევისა, სახელდობრ რომელი ხუროთ-მოძღვარი უგდებდა ყურს და გეგმა ვინ გასინჯა.

*** გზათა სამინისტროში შემოდგომაზედ განიხილავენ იმ საგანს, თუ სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა როგორ მოაწყონ უკეთესად.

*** სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს გადაკეთების პროექტს სახელმწიფო საბჭოში ამ წელს განიხილავენ. ცვლილებანი უმთავრესად სამმართველოში მსახურთა რიცხვისა და ჯამაგირის მომატებას შეეხება. გარდა ამისა ყურადღება ექმნება მიქცეული იმას, რომ სამსახურში უმაღლესას სწავლით აღჭურვილნი იქმნენ ხოლმე მიწვეულნი.

*** გუშინ ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა კოვალევმა შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა პოლიციის ნაწილის ყველა ბოქაულებს: „როგორც წყალში უბედურებისაგან გადამრჩენ საზოგადოების ტფილისის ოლქის სამმართველო მატყობინებს, მას ამ ზაფხულში მტკვარზედ საბანაოდ გაუმართავს 17 დროებითი სადგომი, საიდგანაც საგანგებოდ მიჩემებულმა მცურავებმა მტკვარში მობანავეთ თვალ-ყური უნდა ადევნონ და უბედურების დროს დახმარება აღმოუჩინონ. საბანაო ადგილებად დანიშნულნი არიან მტკვრის მარჯვენა ნაპირზე: 1) დიდუბეში, ბორანს დაბლა 100 საჟ. მანძილზედ, 2) გერის ხიდის ზემოდ, საზოგადოების საბანაოსთან, 3) გერის ხიდის დაბლა, 4) წყლის საზიდ ჩასასვლელთან, ძველის სახაზინო თეატრის ახლო, 5) მტკვრის ტოტში ჰაჰკოვის წისქვილსა და ბორანს შუა, 6) მმ. სუმბათოვების ტყავის ქარხანასთან, 7) საზამთროს მოედანთან, 8) მნაცაკანოვის ხიდს ქვეით; მტკვრის მარცხენა ნაპირზედ: 9) დიდუბეში, მოედნიდგან მტკვრის ჩასასვლელთან, 10 მუშტაიდის ბაღის პირდაპირ, 11) საავთიაქო ქუჩის ჩასასვლელთან, 12) საკანტროლო პალატის უკან, 13) ნიკოლოოზის ხიდს ზემოდ ახვერდოვის წისქვილს ქვეით, 14) კოროშაინოვის სახლსა და ბორანს შუა, 15) გრენადერთა მე-15 ტფილისის რაზმის ყაზარმებს უკან, 16) გოგილოს აბანოს ჩასასვლელთან, 17) ნავთლუხის უმთავრეს ჩასასვლელთან. პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელი უბრძანებს პოლიციის მოხელეებს განსაკუთრებული ყურადღება იქონიონ, რომ აკრძალულს ადგილებში ბანაობა მცხოვრებთ არ გაბედონ, რადგანაც იმ ადგილებში მობანავეთათვის უბედურება ყოველთვის მოსალოდნელიაო.

*** სიღნაღიდგან გვწერენ „მშაკს“, რომ იქ ამას წინად რამდენიმე სომხური წარმოდგენა გაიმართაო. სხვათა შორის, „არშაკ II-ე“ უთამაშნიათ. კორესპონდენტი ერთ ადგილას ამბობს: „მოთამაშენი დიდის მადლობის ღირსნი არიან, რადგანაც მათ ითამაშეს ისეთ ქართულად მოლაპარაკე სომხებში, რომლებიც სომხებისაგან არიან დაშორებულნი“. მოთამაშენი სიღნაღიდგან თელავს და ზაქათალასაც მიდიან წარმოდგენების გასამართავადაო.

*** დიდი ჯიხაიში. კვირას, 18 ივნისს, აქაურმა სცენის მოყვარე ახალგაზრდობამ გამართა წარმოდგენა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ჯიხაიშში არსებულ წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოდ. ითამაშეს ოთხ-მოქმედებიანი შიოს გუდიაშვილის „ცხოვრება ბრძოლაა“. წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო და შემოსავლიც 90 მანეთამდე იყო. ყველა ხარჯს გადაიხადა მხოლოდ 37 მანეთი. ამ ფულიდგან 31 მანეთი სამკითხველოს გადაეცა და 6 მანეთი ქალების სკოლას. წარმოდგენამ მწყობრად და რიგიანად ჩაიარა. დიდის მადლობის ღირსნი არიან ყველანი, ვინც-კი წარმოდგენის გამართვაში მონაწილეობას იღებდნენ თამაშობითა თუ ბილეთების გაყიდვით.

*** კვირას, ღამე, 9 ივლისს, პოლიციის მე-6 ნაწილში შუა ბაზარში ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი პერიდგან ჩასულან ტფილისის მოქალაქის 2 გილდის ვაჭრის იარგულოვის ტყავით სავაჭრო მაღაზიაში, გაუტეხიათ რკინის ფულის კასა და ამოუღიათ 1000 მან. და სხვა-და-სხვა ფასიანი ქაღალდები.

*** კვირას, 9 ივლისს, საღამოს 6 საათზედ, წყალში დარჩობის განსაცდელისაგან დამხსნელ სადგურის მცურავმა დარჩო არუთინოვმა თავის მოედანთან დაიჭირა ვიღაც უცნობის დამხჩვალი გვამი, რომელიც მიხეილის სავადმყოფოს საანატომიო თეატრში გაგზავნეს. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, დამხჩვალი გამოდგა ჯარის-კაცი პეტრე დანილევი.

*** გუშინ, ნაშუადღევის 5 საათზედ, პოლიციის მოხელემ ნ. ზახარჩენკომ იპოვნა სასამართლოს ქუჩაზედ შახპუდაგოვის სახლის ეზოსთან მიგდებული ორის კვირის დაბადებული ბავშვი დედათა სქესისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

*** გუშინ-წინ, 10 ივლისს, ანდრეევის ქუჩაზედ, დრობიშევის სახლში, ვიღაც კ—ცოვმა საფეთქელში მუშტის დარტყმით მოჰკლა სად. ტფილისის ბარგის მზიდველი რომანენკო. მიზეზი მკვლელობისა ეჭვი ყოფილა.

*** 1-ლ ივლისიდგან გომბორის საფოსტო განყოფილებაში ფოსტა-ტელეგრაფის შემნახველი კასსა იქმნა გახსნილი.

*** გუშინ-წინ, 10 ივლისს, როტინიანცის სტამბაში უცბად გადაცვლილა 46 წლის ასოთ-ამწყობი ანდრეი ოსიპოვი, რომელიც დიდიხანია ტფილისში იყო ასოთ-ამწყობადა და ერთობ ერთგულ მუშადა და საუკეთესო საამხანაგო კაცადა ჰყავდათ მიღებული ყველა სტამბებში, სადაც-კი უმუშავნია. ოსიპოვს გულის ავადმყოფობა ჰქონია და მიზეზადაც ეს გახდომია.

## ქუთაისის სამეურნეო განყოფილების კრება

4 ივლისი

ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლების ნაწარმოებთა შორის სავაჭრო ბაზარზედ აბრეშუმის პარკმა კარგა ხანია საპატიო ადგილი დაიჭირა. იმერეთსა, გურიასა და სამეგრელოში ძვირად ნახავთ ისეთს ოჯახს, რომ წელიწადში ორის-სამის თუმნის პარკი არ გაჰყიდოს და ათისა და ოც თუმნობით აბრეშუმის პარკის გამყიდველი ხომ მრავალია. პარკის წარმოება ისეთი საქმეა, რომ ამას ქალები და ყმაწვილებიც-კი ადვილად აბერხებენ და მამაკაცის ხელს ამაზედ არ აცდენენ. ცხადია, ამისთანა სარგებლიან საქმეს ხელის შეწყობა და დახმარება ეკირვება ჩვენის ნასწავლის ხალხის მხრივ. ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველოში სოფლად გაბნეულია მრავალი ნასწავლი ყმა-

---

მხოლოდ რაღაც გულშემზარავს ბარბაროსულს ქვეყანას წარმოადგენდა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ბრძოლაში ამ საუკუნის ნახევარში მრავალი სისხლი დაჰღვარა და ძალა დაჰკარგა, მაშინ ხომ უფრო განსაცვიფრებლად გვეჩვენება ის, თუ როგორ-ღა მოახერხა ამ ქვეყანამ და მსოფლიო ცოდნათა სალაროში ესოდენი საპატიო წვლილი როგორ შეიტანა.

1800 წელს, ე. ი. ამ საუკუნის დასაწყისში, ვოლტამ თავისი მოხსენება წარუდგინა პავიის აკადემიას ეგრედ წოდებულ ვოლტას სვეტის აღმოჩენის შესახებ, რომელმაც ელექტრონის შესახებ მეცნიერებაში სრულიად ახალი ხანა შექმნა და მრავალს დიდებულს აღმოჩენას საფუძვლად დაედო. ინგლისელმა მორზმაც სწორედ აი ამ ვოლტას აღმოჩენის პრინციპით ახელმძღვანელა და კაცობრიობას საკეთილდღეოდ გამოიგონა ტელეგრაფი, რომლის მავთულების საშუალებითაც განათლებულს ერებს, ერთმანეთისაგან უსაზღვრო ზღვებითა და მანძილით დაშორებულთ, საშუალება ეძლევათ ყოველივე აზრი და საქმე შესანიშნავის სისწრაფით გაუზიარონ ერთმანეთსა. ამრიგად ძირიანად დაირღვა ძველი მიუდგომელობა და შინად ჩაკეტვა და აღსრულდა ის, რაც სიზმრადაც-კი არავის მოსჩვენებოდა.

ვოლტას აღმოჩენავე დაედო საფუძვლად ელექტრონით განათებასა, რომლის წყალობითაც ღამეს დღეზედ მეტს ნათელსა ვფენთ და ბნელით მოცულს შენობებს თუ ქუჩებს ეგრედ წოდებულის ელექტრონის პაწაწკინტელა ღილის გადატრიალებით ღღესავით ვაკაშკაშებთ. ნავთი, სანთელი, გაზი და სხვა მისთანანი ელექტრონის წყალობით დღე-დღეობით ხმარებიდგან სრულიად გამოდის,—დრო და ფული შედარებით ბევრი გვეზოგება, ესტეტიურად გაცილებით მეტს კმაყოფილებასა ვგრძნობთ. რაც შეეხება ელექტრონის მრავალ გვარს გამოყენებას, მკურნალობას შეეხება იგი თუ ტეხნიკას, ეს ხომ მხოლოდ განცვიფრების ღირსია, უთვალავია. ერთი სიტყვით, ყოველივე, რაც-კი ელექტრონის შესახებ ძირითადად აღმოუჩენიათ, ყოველივე ეს იტალიელების შრომაა და მხოლოდ გენიოსის ალექსანდრე ვოლტას მადლობელი უნდა იყოს კაცობრიობა, რომ ამ მხრივ ესე დიდი ბიჯი წასდგა წინ.

მეორე იტალიელმა სწავლულმა, ჩუმმა და მოკრძალე მოღვაწემ, ფიზიკის პროფესსორმა ანტონ პაჩინოტტმაც არა ნაკლები სამსახური გაუწია მეცნიერებასა და ტეხნიკას. ამან 1875 წ. პიზანის ერთს ჟურნალში „Il Cimento“-ში დაჰბეჭდა თავისი შრომა იმის შესახებ, თუ ელექტრონის ენერგია როგორ გადადის მექანიკურს ენერგიასა, სითბოსა და სინათლეზედ და ეს თავისი ახალი თეორია გამოცდით დაამტკიცა თავისისავე ხელით გაკეთებულ დინამო-ელექტრონის მანქანის საშუალებით. და ამ შესანიშნავის აღმოჩენით გრომის საფასი ნივთიერი სარგებლობაც-კი არ გამოუტანია. ელექტრონის ძალის უმთავრესნი წყარონი, როგორც, მაგალითად, უშველებელი მანქანები, ბუმბერაზი ჰახრაკები, რომლითაც ათი და ასი ათასს ფუთიანს სიმძიმეს ეზიდებიან, ჯავშნიან გემებზედ უშველებელს ზარბაზნებს ატრიალებენ, უზარმაზარს ტელესკოპებს ობსერვატორიებში ამოძრავებენ, ელექტრონის რკინისგზა და სხ., ყოველივე ეს დინამო-მანქანის წყალობით მოძრაობს; დინამო-მანქანაა უმთავრესი მიზეზი, რომ ელექტრონის ძალამ ტეხნიკისა, მრეწველობისა და ცხოვრების ყოველგვარს დარგში ესოდენი დიდი ადგილი მოიპოვა, ესოდენად გამოიყენეს.

1880 წ. ლივორნოს მცხოვრებმა იტალიელმა გალიმო ფერრარისმა ელექტრონისავე შესახებ აღმოაჩინა ის, რომ შეიძლება ელექტრონის ძალა ერთი მანძილიდგან მეორეზედ გადავიდესო და ამითი დიდად ხელი შეუწყო ტეხნიკისა და მრეწველობის გამარჯვებას, მათს უმაღლესს განვითარებას. დასასრულ, სხვებზედ ნაკლები აღმოჩენა არც გულიელმო მარკონიმ გამოაქვეყნა: ეს გახლავთ ეგრედ წოდებული უმავთულო ტელეგრაფი, რომლის საშუალებითაც სიტყვის მანძილზედ გადაცემა უმავთულოდ შეიძლება და რომელიც მომავალში ახლანდელს ტელეგრაფს, იმედია, სრულიად გააუქმებს.

ამ რიგად იტალიის მიერ მე XIX საუკუნის ცოდნათა სალაროში შეტანილი წვლილი ელექტრონის უდიდეს აღმოჩენათ შეეხება, რაიცა, ეჭვი არ არის, იტალიის ერის სიამაყეს შეადგენს. მაგრამ არც ქიმიაში ჩამოჰრჩა სხვა ერებს თავისის აღმოჩენებით. 1847 წ. იტალიელმა სობრეროში ნიტროგლიცერინი აღმოაჩინა; ნიტროგლიცერინიდგან შემდეგ ნობელმა მოამზადა დინამიტი (ნალმი), რომელიც დღეს უძლიერეს იარაღად ითვლება არა მარტო ბრძოლის ველზედ, როგორც სიცოცხლისა და ქონების გამანადგურებელი, არამედ მრეწველობასა და სამთო წარმოებაშიაც, რომელნიც კაცობრიობის წინსვლას ემსახურებიან. უდიდესი გვირაბები და არხები, რომლითაც დღეს დედა-მიწის ზურგი მოფენილია, ყოველივე ეს ნიტროგლიცერინისა და დინამიტის ნაყოფია. ერთი სიტყვით, დინამიტმა პროგრესსა და კაცთა საუკეთესო მისწრაფებას უდიდესი სამსახური გაუწია, მხოლოდ მან შეაძლებინა ჩვენს საუკუნეს თვისი უდიდესი განზრახვანი განეხორციელებინა: სენ-გოტარდის გვირაბი (უდიდესია ევროპაში), სუეზის არხი და მრავალნი სხვანი სხვა რის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს თუ არ დინამიტისა. იტალიელმავე სწავლულმა ფრანჩეზე სიაჩიმ გამოიანგარიშა, თუ რა ძალის იარაღი რამოდენს მანძილზედ ისვრის ტყვია-წამალსა, ე. ი. საფუძველი დაუდვა ეგრედ წოდებულს სამხედრო ცოდნას, ბალისტიკასა, და საზოგადოდ სროლისა და იარაღის კეთების საქმეს სამეცნიერო ნიადაგი მოუპოვა.

ინ. ან.

(დასასრული იქმნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილკაცობა, უმეტესი ნაწილი ამათ შორის სოფლის მასწავლებლები არიან. ამათის მეცადინეობითა და თავგანწირულის შრომით ბევრგან დაარსდა მეაბრეშუმეთა ამხანაგობა, რომლის უმთავრესი საგანი ის არის, რომ მწარმოებელს ააცილოს წვრილმანი ჩარჩები და მატყუარა ვაჭრები და მისცეს საშუალება თავისი ნაწარმოები მოხერხებულ დროს და პირიანად გაჰყიდოს.

ზოგიერთმა ამისთანა ამხანაგობამ კიდეც ისახელა თავი საქმის შეგნებულის გაძღოლით და ამიტომაც ხალხის ნდობა, სიყვარული და პატივისცემა ღირსეულად დაიმსახურა, როგორც, მაგალითად, ხონის ამხანაგობამ, რომლის დამაარსებლად და მოთავედ ითვლება ბ-ნი ნ. წერეთელი, სოფლის მასწავლებლად ნამყოფი. გამოჩენილან იმისთანა მოღვაწეებიც, რომელნიც თავისის საკუთარის ხარჯით და მეცადინეობით პატარ-პატარა სკოლებს აარსებენ, სადაც ყმაწვილ ქალებს ასწავლიან სხვა-და-სხვა ხელ-საქმეს: მაგალითად დარაიების ქსოვას, აბრეშუმის მოსახვევების კეთებას, აბრეშუმის ძაფის დართვას, წინდების ქსოვას, აბრეშუმის ჭიის მოვლას და სხ. ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ, რომელიც მოხდა 4 ივლისს სახელმწიფო ქონებათა გამგეობის მმართველის ბ-ნ ზელენინის თავმჯდომარეობით, ბ-ნმა ი. გ. ქუთათელაძემ დაასახელა მრავალი ამგვარი მოღვაწე და გააცნო საზოგადოება მათს მოქმედებას. მათი ხელ-საქმე წარდგენილი ყოფილა ტფილისის და სხვა ქალაქების გამოფენაზედ და ყველგან მოწონებული და ჯილდოს ღირსად ცნობილი. ერთი ამისთანა მოღვაწეთაგანი ყოფილა სამეგრელოს ს. ცაიშში ქ-ნი ო. ჟორდანია, რომელსაც ქალების სკოლა გაუმართავს და შეუსწავლებია მათთვის აბრეშუმის ჭიის მოვლა, პარკიდგან აბრეშუმის ამოღება და ქსოვა სხვა-და-სხვა ნაირის აბრეშუმეულისა. ბ-ნმა ქუთათელაძემ სთხოვა ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას, დაეჯილდოვებინა ეს ქალი ფულით. საზოგადოებამ მცირედის კამათის შემდეგ შეიწყნარა თხოვნა ქუთათელაძისა და დაადგინა მიეცეს ქ-ნ ჟორდანიას ორასი მანეთი საჩუქრად, რათა უფრო კარგად მოაწყოს მან თავისი პატარა სასწავლებელი.

ამგვარისავე მოქმედებისათვის დააჯილდოვა ხუთ-ხუთის თუმნით ს. კულაშში მცხოვრები ქალი დანელიასი და სოფ. ნაგომარს მცხოვრები ქ-ნი ტ. ა. კოპლატაძისა.

ზ—ი

### მცირე შენიშვნა

ვისაც ჩვენის ცხოვრების განვითარებისათვის თვალ-ყური ოდნავ მაინც უდევნებია, ვინც ჩვენის ცხოვრების ბურუსით მოცულ განვითარების გზას ცოტათი მაინც ჩაუფიქრებია, იგი უთუოდ იმ სამწუხარო გარემოებას აღნიშნავდა, რომ ქართველის ერის სწავლა-განათლების საქმე მეცხრამეტე საუკუნის გასულსაც კი კუს ნაბიჯით მიდის წინა. დღეს, როცა მთელი კაცობრიობა სწავლა-განათლებისაკენ მიისწრაფის, დღეს, როცა მთელს კაცობრიობას ნათლად შეუგნია სწავლა-განათლების დიდი მნიშვნელობა და ცხოვრების ამ მძლავრის იარაღის შეძენისათვის დიდი თუ პატარა დაუღალავად იღწვის, ჩვენ გულხელდაკრეფილი შევცქერით ჩვენს აწმყოს და მომავალს...

ყველგან და ყველა დროს სწავლა-განათლების ერთ უმთავრესს მოძრავ დედა-ბოძად, ერთ უმთავრესს მებაირახტრედ კერძო კაცის თაოსნობა ყოფილა, ყველგან, სადაც სწავლა განათლების საქმე რიგიანადაა გაწესრიგებული, კერძო კაცების და საზოგადოებების დაწყობილებას და თაოსნობას დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ჩვენში კერძო კაცთა და საზოგადოებების ინიციატივა ფარნით საძებნელია, შეჩერებივართ მთავრობას, და თუ იგი დაგვიარსებს სასწავლებელს, თორემ ჩვენ ხელს არ გავძრავთ. გვავიწყდება ამავე დროს, რომ რუსეთის იმპერიაში დიდძალი ხალხი სცხოვრობს და, მაშასადამე, მთავრობას მარტოდ მარტო ჩვენთვის არა სცალიან.

მთავრობა უძლურია მაშინ, როცა ხალხი თავისის თავისათვის არა ჰფიქრობს, როცა ხალხის შეგნებული ნაწილი არა სცდილობს ერის კეთილდღეობისათვის, არ ამცნებს, სადაც ჯერ არს, ხალხის უსაჭიროესს მოთხოვნილებას. დღეს ყველა სახელმწიფოს მთავრობას ნათლად აქვთ შეგნებული ძველის რომაელების განთქმულობის დიდი აზრი: Da mihi factum, dabo tibi jus"-ო, და ამას მიხედვით მთავრობაც ასე გვეუბნება: გვაცნე შენი მოთხოვნილება, საჭიროება და ჩვენ უეჭველად მოგანიჭებთ, დახმარებას აღმოგიჩენთო.

მართლაც, თუ თვით ერი არა სცდილობს თავისის მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის, თუ თვითონ ერი თავისის საჭიროების გამო არ აღიმაღლებს ხმას, მთავრობას არ შეუძლია ამ ერს ჭეშმარიტი მფარველობა გაუწიოს. ქართველი კაცის თავზედ ბევრი გადავლია ტრიალებს, ბევრი გაჭირვება აწუხებს მას, მაგრამ ვინაა განმცხადებელი მათი, ვინაა გზის მაჩვენებელი. ამ საჭირ-ბოროტო საქმეთა შორის სწავლა-განათლებას კუს ნაბიჯით განვითარების უპირველესი ადგილი უჭირავს. ეს გარემოება, ჩვენდა სამწუხაროდ, უტყუარი ჭეშმარიტებაა, ჩვენ კი ვდუმთ, თითქო ეს ბუნებრივი მოვლენა იყოს.

უფრო სასიამოვნოდ მიგვაჩნია კლუბის დარბაზებში ბილიარდს ცემა და ბანქოზედ მთელი დღეობით კირკიტი, ვიდრე ერის სწავლა-განათლებისათვის ზრუნვა, მდაბიო ხალხის ხელის-ხელ ჩაკიდება და თვით-ცნობიერების სარბიელზედ ერთად მოგზაურობა. სული და გული მიკვნესის, როცა ჩვენს სოფლებს კიდით-კიდემდე მოვივლი და ანბანის მცოდნე კაცს ვერ ვპოვებ, სასოწარკვეთილებას ვეძლევი, როცა ვხედავ, რომ ჩვენი ახლადიდები ფუქსავატად იფლანგება, რომ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს, ჩვენს წიგნებს წლიდან წლამდე ერთი და იგივე მკითხველი ჰყავს, სული ყელში გვებჯინება, როცა ვხედავ, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენის ახალი თაობისა ცხოვრების ჭეშმარიტ სარბიელს ჩამოშორებია და თვით ის ერი, რომელმაც იგი აღზარდა, დედინაცვლად მიუჩნევია.

დიახ, ბევრი რამ არის ჩვენს ცხოვრებაში ჩასაფიქრებელი და ღირს-საგულისხმო, და აი, სწორედ ამისთანა დროს კაცმა ერთი ბეწვიც რომ სანუგეშო დაინახოს, მისს სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ ექნება. სრულის პატივისცემით და სასოებით შეჰყურებთ იმ კაცს, რომლის აზრი, შრომა, ღონება და თვით ნივთიერი შეძლებაც კი, „ამ სასოწარკვეთილების ხანას" რაიმე კეთილ საქმეს ემსახურება. აი, სწორედ, დღეს-დღეობით ამ განუსაზღვრელის პატივის ცემით შევყურებ მღვდელს მამა რომანოზ დეკანოსიძეს, რომელიც ამ ჟამად ხარაგაულში თავისის ხარჯით აშენებს სკოლისათვის სამ-სართულიან ქვიტკირის სახლს. ამ სახლში მოთავსებული იქმნება სკოლა, მასწავლებლის სადგომი, წიგნთსაცავი და ზემო სართულში ეკლესია. ამ სკოლასვე შესწირა მამა რომანოზმა ორი დესეტინა მიწა და აგრეთვე თვით ივისრა მიელო ყოველივე ხარჯი სკოლის და სასკოლო ეკლესიის მოსაწყობად. ჯერ-ჯერობით ყველა ამ კეთილ საქმის განსახორციელებლად მამა რომანოზ დეკანოსიძეს გადადებული აქვს თხუთმეტი ათასი მანეთი, ხოლო თუ საჭიროება კიდევ მეტს მოითხოვს, პატივცემული სულიერი მამა არას დაიშურებს. სასკოლო შენობა ენკენისთვისათვის მზად იქმნება და სწავლაც, რასაკვირველია, მაშინვე დაიწყება, თუ სკოლის დაარსების ნებართვის მიღება არ შეჰვიანდა. აი, ღირს შესანიშნავი და ჩვენს ცხოვრებაში იშვიათი მაგალითი ქველ მოქმედების და კეთილ-გონიერებისა! თვით ამ აზრის განმარტება და მის მნიშვნელობის გათვალისწინება მეტად მიმაჩნია, ეს იშვიათი კეთილ-მოქმედება თავისთავე მჭერ-მეტყველად ლაღადებს, მხოლოდ ვიტყვი, რომ დროა გონს მოვიდეთ და ვიზრუნოთ იმ კეთილ-საქმისათვის, რომელსაც სწავლა-განათლების საქმე ჰქვიან, დროა თვითოეულმა ჩვენგანმა, მამა რომანოზ დეკანოსიძესამებრ, შეიტანოს თავისი წვლილი იმ საეროვნო ტაძრის დასამკვიდრებლად, რომლის მადლიან საკურთხევლიდგან ხალხს სწავლა განათლებისა და თვით-ცნობიერების სხივი უხვად ეფინება..

ა. ყუმისთაველი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „მშაკის" მე-124 №-ში ვილაც სალიმიანცი გამობრძანებულა და ერთის კალმის მოსმით ახალციხის ქართველ კათოლიკებს ასომხებს. ბ-ნი სალიმიანცი ჰკონებს, რომ კათოლიკეთა გასომხების მნიშვნელობა ბევრს არ ესმის, ნამეტნავად ისეთ მოძღვართ, როგორიც ვარძელაშვილიაო. ვარძელაშვილი ხიზაბავრას ქართველ კათოლიკეთა მოძღვრად ითვლება. ამ მოძღვარს ბევრჯელ გამოუცვალეს გვარი, ხან ვარძელიანცი დაარქვეს, ხან ვარძელოვი, ხან ვარძელიანი, მაგრამ გასომხებით მაინც ვერ გაასომხეს.

ეხლა ბატონი სალიმიანცი გაოცებით სწერს, რომ ქართულს ენაზედ მოსაუბრე სომეხ კათოლიკეებმა სოფ. ხიზაბავრაში ეკკლესია ააგესო; ეს ეკკლესია მათ 12,000 მან. დაუჯდათო, ამ ფულში სომხების ფულიც ურევიაო. წარმოიდგინეთ, რომ ვარძელოვის მეოხებით ეკკლესიის კედელზედ მხოლოდ ქართულად და ლათინურად წარუწერიათ აღშენების ცნობა და სომხურად-კი ერთი ასოც არა სჩანსო. განა შეიძლება ასე გადაგვარება, ასე გაქართველება იქმნება სომეხ კათოლიკეებისაო?!.

ამაზედ მეტი ახირება გაგონილა: ათასჯერ აღიარეს ამ ქართველ გვარის კათოლიკეებმა, რომ ჩვენ შთამომავლობით ქართველნი ვართ, ჩვენი ენა ქართული ენა არის, ჩვენი სამშობლო ქვეყანაც საქართველოაო, მხოლოდ სარწმუნოების მხრივ ჩვენ სომეხ-კათოლიკეთა ტიპიკონზედ ვდგევართო. ეს როდი მოასწავებს იმას, რომ ვითომც ჩვენ გვარტომობითაც სომხები ვიყვნეთო.

ამას ამბობს ქართველი კათოლიკობა, ამასვე ჰქადაგებს წარსული, აწმყო, ეკკლესიური ცნობები, წარწერანი, ისტორია, ეთნოგრაფია და თვით ხალხის ენა, მაგრამ სომეხ-კათოლიკეებს ეს არ ესმით, დაუჟინიათ, რომ ქართველი კათოლიკეები სომხები არიანო, დასდგომიან ამ არეულ გზა-კვალს და თავისას გაიძახიან. ხოლო რაც შეეხება ისეთ პროგრესიულ გაზეთს, როგორიც „მშაკია", არ ეპატიება ასეთის წერილების წერა. რას ჰნიშნავს ეს, თუ ქართველია, ქართველი იქმნება, თუ სომეხი და სომეხი, მაშასადამე, აქ ძალის დატანება რისთვის და რაშია საჭირო.

სამწუხაროა, ჭეშმარიტად, რომ სომეხ-კათოლიკეთა მეოხებით დღესაც კიდევ გვიხდება ამ ყოვლად ნათელ საგანზედ საუბარი და იმისი თქმა და დამტკიცება, რაც ყოველ სამართლიანობის გრძნობის მქონე ადამიანისათვის ყოვლად ცხადი და უტყუარია.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** გაზ. „Daily Mail"-ის საკუთარი კორესპონდენტი 15 ივლისს (ახალის სტილით) დეპეშით შემდეგს იუწყება: „ნამდვილად შევიტყე, რომ 6 ივლისს ჩინელებს ზარბაზნებიდგან სასტიკად დაუწყიათ სროლა ინგლისის საელჩოსათვის, სადაც ევროპიელნი იყვნენ შეხიზნულნი. ორის საათის სროლის შემდეგ ბევრგან კედლები ჩამოანგრიეს. მაშინ ჩინელებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ ევროპიელნი ისე მაგრა დაუხვდნენ და ისე დაუშინეს ტყვია, რომ უკუ-აქციეს მოსეულნი ჩინელნი. ამით გაჯავრებულმა პრინცმა ტუანმა, შეჰკრიბა მთელი თავისი ჯარი და ხელახლა მიიტანა იერიში. მაგრამ ამ დროს ევროპელთ პრინცი ჩინგი და გენერალი კან ვენგ-შაო მიეშველნენ. ჩინელთა შორის ხელ-ჩართული ომი გაიმართა. სამწუხაროდ ჩინგისა და მისის მცირე რაზმი ვერ გაუმაგრდა ტუანის ურიცხვ ჯარს და დამარცხებულ იქმნა. მოხუცებული, 70 წლის გენერალი კან ვენგ-შაო მოკლულ იქმნა ამ ბრძოლაში. ამბობენ, თვით პრინცი ჩინგიც მოჰკლესო.

„ამასობაში დაღამდა კიდეც. ჩინელებმა რამდენჯერმე მიიტანეს კიდევ იერიში, მაგრამ გათენებამდე ვერაფერი გააწყეს. გათენებისას ტუანს ახალის ჯარით გენერალ ტიან-ფუ-სინი მოეშველა, რომლის ზარბაზნებმაც მიწასთან გაასწორა საელჩო. ბოლოს მომწყვდეულთ ტყვია წამალი შემოაკლდათ. დილის 7 საათზედ ჩინელებმა ხელ-ახლა მიიტანეს იერიში და აიღეს კიდევ საელჩო. ევროპიელნი თავ-გამოდებით იცავდნენ, მაგრამ ურიცხვ მტერს ვერ გაუმაგრდნენ. ერთს ევროპიელზედ ათი და ოცი ჩინელი მოდიოდა. ჩინელებმა აღარავინ დაინდეს, აღარც მამაკაცი, აღარც დედაკაცი და აღარც ბავშვი: ამ დღეს ყველანი ამოჟლიტეს და ამოწყვიტეს".

როგორც სხვა კორესპონდენტები იუწყებიან, საელჩოს განადგურების შემდეგ ჯარი იმ უბანში შეცვივნულა, სადაც ქრისტიანე ჩინელები სცხოვრობდნენ თურმე და თითქმის ყველანი ამოუჟლეტიათ".

— „Daily Mail"-ის მიერ მიღებულ ამბავს მეორე გაზეთის — „Daily Exp."-ს კორესპონდენტიც ამოწმებს. ამ კორესპონდენტის სიტყვით, „მოკრივენი" ევროპიელებს ცეცხლში ჰყრიდნენ და ისე სწვავდნენ. ბევრმა ევროპიელმა რევოლვერით მოჰკლა თავისი ცოლი და შვილები, რომ მათ ჩინელების ხელში ტანჯვა არ გამოეცადათო".

— როგორც რუსეთის მთავარ-შტაბის ცნობებიდგან სჩანს, ტიან ძინის მახლობლად ჩინელებს 150,000 კარგად შეიარაღებული ჯარის კაცი ჰყოლიათ, ხოლო ჩილისა და ახლო-მახლო მდებარე პროვინციებში 450,000 ჯარის-კაცამდე. ამასთან შედარებით სახელმწიფოთა ჯარი მეტად მცირეა. ამ ჟამად ეს ჯარი 30 ათასს კაცს არ აღემატება, მაგრამ 9 აგვისტოსთვის სახელმწიფოებს იმედი აქვთ, რომ ჩინეთში 80,000 კაცი ეყოლებათ.

— მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ სახელმწიფოთა შეერთებულმა ჯარმა ტიან-ძინი თითქმის წაართვა ჩინელებს. როგორც ეხლა იუწყებიან, პირველად რუსებს გაუმარჯვნიათ; მათ რკინის გზის სადგურის მახლობლად დაუმარცხებიათ ჩინელთა რაზმი და წაურთმევიათ მათთვის 8 ზარბაზანი. ცოტა ხანს შემდეგ ფრანგებს თოფის წამლის საწყობი აუფეთქებიათ. ყველაზედ ცხარე ბრძოლა თოფხანასთან ყოფილა. ჩინელები იქ სასტიკად იბრძოდნენ თურმე, მაგრამ სამის საათის შემდეგ იაპონიისა ინგლისისა და საფრანგეთის შეერთებულმა ჯარმა იერიში მიიტანა და აიღო თოფხანა.

**იაპონია.** ამ ბოლოს დროს გაზეთებში ხშირად სწერენ, რომ ევროპა იაპონიას არ უნდა მიენდოს, შეიძლება ამ სახელმწიფომ ევროპას უღალატოს და ჩინეთს მიემხროსო. თუ მართლა ეს შიში გამართლდა და იაპონიამ მხარი დაუჭირა ჩინეთს, მაშინაც თვით სახელმწიფონი იქმნებიან დამნაშავენი, რადგანაც იგინი არაფრად აგდებდნენ იაპონიას და ისე ექცეოდნენ, როგორც ჩინეთს, ოსმალეთს და სხვა დაბრიყვებულს სახელმწიფოებს ექცევიან. აი რას უთქვამს ამ ჟამად ლონდონში მყოფს იაპონიის პუბლიცისტს ტატსუის:

„რუსეთმა დაიჭირა პორტ-არტური, რომელიც ჩვენ ჩინეთს წავართვით, ინგლისელებმა ხელთ ჩაიგდეს ვეი-ხაი-ვეი, სადაც ჩვენმა ადმირალმა ჩინეთის ფლოტი გაანადგურა, გერმანიამ კიდევ კიაო-ჩაო დაისაკუთრა, რომელიც აგრეთვე ჩვენ უფრო გვეკუთნოდა, ვიდრე სხვა ვისმეს. ამ რიგად იქ, სადაც ჩვენა ვხანით, ევროპიელებმა პური მოიმკეს, და სადაც ჩვენმა ჯარმა სისხლი დაჰღვარა, ევროპიელებმა შინაურულად მოიკალათეს. ევროპას ეგონა, ამით ჩინეთთან საქმე გავათავეთ, რადგან ეს ორიოდე ქალაქი დავაჭირეთ, მთელ ჩინეთსაც მალე ჩავიგდებთ ხელთაო. ჩვენ არც ამას ვფიქრობდით და არც ვჩქარობდით ევროპიელებსავით. ჩვენ, აღმოსავლეთის ხალხს, ცდა და მოთმინება გვიყვარს, და ამ შემთხვევაშიაც ვუცდიდით მომავალს. შეუძლებელი იყო ისის შემდეგ, რაც ევროპიელებმა ჩაიდინეს ჩინეთში, არ მომხდარიყო ის, რაც ეხლა მოხდა: აჯანყება მთელის ერისა უზარ-მაზარ სახელმწიფოსი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად ამერიკაში ვინმე ნისსენმა განიზრახა ნავით ნიაგარის წყალ-ვარდნილის გადაცურვა. ამისათვის ნისსენმა მოამზადა განსაკუთრებული ნავი და ძირში მძიმე რკინები მიაკრა, რომ იგი არ გადაბრუნებულიყო. 4 საათზედ ნავი ნაპირს მოაშორეს და წყალს მისცეს. ნისსენმა ნიაგარის იმ ადგილის გადაცურვა განიზრახა, სადაც წყალი ზემოდგან გადმოშვებული ძირს ეცემა და უზარმაზარს მორევს წარმოადგენს. როდესაც ნავი მორევს მიუახლოვდა, ტალღებმა ნაფოტსავით დაუწყეს აქეთ-იქით სროლა, მაგრამ უფრო დიდი გაჭირვება ნისსენს მაშინ დაადგა, როდესაც ნავი შიგ შუა მორევში შევიდა. ზოგჯერ აბობოქრებული წყალი რამდენსამე არშინის სიმაღლეზედ შეისვროდა ხოლმე ნავს. ერთხელ ნავი სრულიად დაიმალა, მაყურებელთ ყოველივე იმედი დაეკარგათ ნისსენის გადარჩენისა; მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ნავი ხელ-ახლა გამოჩნდა, ნისსენი ნავის ძირზედ იყო გაწოლილი. საწყალი უმოძრაოდ იწვა და სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ნაპირებიდგან დახმარება აღმოუჩინეს და როგორც იქმნა გამოათრიეს ნავი. ისე შეშინებულა ნისსენი, რომ გამოუცხადებია, ღმერთმა დამიფაროს, კიდევ ჩავიდე აქა, მგონია რაც ეხლა გამოვცადე, ისიც არ დამავიწყდება მთელს ჩემს სიცოცხლეშიო.

* * *

ამ ჟამად ევროპაში დაჭყავთ და ხალხს აჩვენებენ ერთ კაცს, რომელიც თავით-ფეხამდე დიდისა და ხშირის ბალნით არის შემოსილი. ეძახიან ამ კაცს რამ-ა-სამას. ლაპარაკი სრულიად არ იცის თურმე. რამა-სამა ნადირივით იქცევა და როდესაც გააჯავრებენ ან შეაშინებენ ღრიალითა და ყვირილით გარბის. სიცივის სრულიად არ ეშინიან. ჭამით ეს უცნაური კაცი მარტო მწვანილეულობასა სჭამს. არავინ არ იცის ამ კაცის წარსული და ჩამომავლობა. ანტრეპრენერი ამბობს, რომ ეს კაცი გიმალაის მახლობლად ერთ მიყრუებულ და მივარდნილ ტყეში დავიჭირეო, იგი, როგორც ნადირი, მარტოდ-მარტო სცხოვრობდაო.

* * *

გაზეთები ბევრს ამბებს იუწყებიან ხოლმე ამერიკულ მილიონერთა ქალების შესახებ. უცნაურ ცხოვრებას ატარებენ ეს ქალები, ფული აქვთ და ისეთს რამეებს იგონებენ, რაც სხვას აზრადაც არ მოუვა. ამას წინად მთელს ამერიკაში სახელი გაითქვა სამმა სულ ახალგაზდა მდიდარმა ქალმა, ელისაბედ ვან-ბურენმა, ლუიზა ვან ბურენმა და ჟოზეფინა რეინოლდმა. სამნივენი ნიუიორკის მაღალ საზოგადოებას ეკუთვნიან. ერთ მშვენიერ დილას ეს ქალები დასხდნენ ორთქლ-მავალზედ და მატარებელი არკანსსიტიდგან ოკლაგამაში აიყვანეს. თვით ასრულებდნენ ორთქლ-მავალზედ ყველა თანამდებობას, თავიანთის თეთრის ხელებით ჰყრიდნენ ქვა-ნახშირს, უსვამდნენ მანქანის ნაწილებს ქონს, და სხვა საგნებს აკეთებდნენ. ამასთან ეს გზა მთიან ადგილას არის გაყვანილი და ამერიკის ყველა სხვა გზაზედ საშიშია. მატარებელი ქალებს მეტად ჩქარა მიჰყავდათ. გაუვლიათ სულ 300 მილი. თუ სათუთად აღზრდილმა ქალებმა ამდენი მოახერხეს, რასაკვირველია, მშრომელი, მუყაითი ქალები უფრო მეტს მოახერხებენ და შესძლებენ.

* * *

როგორც პარიჟის გაზეთები გარდმოგვცემენ, ამას წინად იქ, ვენსენის ტყეში რამდენიმე კოხტად გამოწყობილი ქალი თავს დასხმიან გზად მიმავალ მოხუცს და გაუძარცვნიათ. ეს ამბავი საღამოს 10 საათზედ მომხდარა თურმე. ტყეში 65 წლის მოხუცი ლებლონი მიმავალა. ერთ მიყრუებულ ხეივანში თვალი მოუკრავს ორის მეტად კარგად ჩაცმულის მანდილოსნისათვის. როდესაც მოხუცი მიახლოვებულა, მანდილოსნები მისცვივნიან, უტაცნიათ ყელში ხელი და წაუქცევიათ. ერთს პირზედ ხელსახოცი დაუფარებია, მეორეს კიდევ ჯიბეებში ჩხრეკა დაუწყვია, ამოუღია ქისა, აუძვრია საათი, ბეჭდები და შემდეგ ორივენი გაქცეულან. წასვლის დროს თავისივე ჯოხი დაურტყავთ თავში ლებლონისათვის. როდესაც გონს მოსულა, ლებლონს ყოველივე პოლიციაში განუცხადებია. გამოძიებას შესდგომიან და მალე დაუპატიმრებიათ ვირჟინია შერბაი და მარიამ კორონი. საათი ოქრომჭედლისათვის მიუყიდნიათ. როგორც გამოძიებას აღმოუჩენია, ეს ქალები დიდი ხანია თურმე, რაც ყაჩაღობასა და ქურდობას მისდევდნენ. იმათ გარდა პარიჟში მთელი ბრბო ყოფილა ყაჩაღ-ქალებისა. მათ ერთი მეტად მოხერხებული და გამოცდილი ქალი წინამძღოლობს თურმე. ეს ქალი ხან კაცის ტანისამოსს იცვამს, ხან მღვდლის, ხან ისეა გამოწყობილი, რომ მაღალის საზოგადოების ქალი გეგონებათ. იმისი ბრბო არაფერს არ ერიდება თურმე და რამდენჯერმე შუადღისასაც-კი დასცემიან კაცებს და გაუძარცვიათ. პოლიცია გულ-მოდგინედ დაეძებს ამ ყაჩაღთა ბრბოს ბელადსა და იმის ამხანაგებს, მაგრამ ჯერ ხნობით ვერც ერთი მათგანი ვერ შეუპყრია.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ივლისი

**პეტერბურგი.** 10 ივლისს სპარსეთის შაჰი, გამოეთხოვა რა მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ და უმაღლესობათ საფრანგეთში წავიდა.

**იოკოგამა.** კორეის მთავრობა კიდევა ჰგზავნის ჯარს საზღვარზედ, რათა ჩინელებს გადმოსვლა შეუშალოს.

**ლონდონი.** რობერტსი პრეტორიიდგან იუწყება, რომ ბურები შემოერტყნენ რკინის გზის სადგურს გეიდელბურგიდგან აღმოსავლეთით 13 მილის მანძილზედ. მათ განიზრახეს სადგურის დაქცევა, მაგრამ მეციხოვნეთ განდევნესო.

**შანჰაი.** ჩინეთის წარჩინებული მოხელენი იუწყებიან, რომ იაპონიის იმპერატორისაგან ჩინეთის ეპისტოლეს საპასუხო წერილის მიღების შემდეგ, ქვრივის იმპერატრიცას ბრძანებით, მეფის მოადგილეს ლიუს ნება მიეცა მოლაპარაკება გამართოს სხვა სახელმწიფოებთანაო.

**ტრომზე.** ბარონ ტოლლის ექსპედიცია გავიდა აქედგან. ექსპედიცია პოლიუსის გამოსაკვლევად მიდის.

**ბერლინი.** გერმანიის ესკადრის უფროსი ტაკუდგან 7 ივლისს იუწყება, რომ ტიან ძინის მეციხოვნეებად გერმანიის ჯარიდგან მხოლოდ 300 კაცი იქმნა დატოვებული ვენიგერის უფროსობითაო. დანარჩენი ჯარი გემზედ დაბრუნდაო.

**პარიჟი.** ტონკინში მყოფი საფრანგეთის ელჩი იუწყება, რომ ჯეძიანის პროვინციაში მშვიდობიანობააო. ჩრდილოეთ დასავლეთ პროვინციების სოფლებში დააქციეს ქრისტიანეთა რამდენიმე უბანიო.

11 ივლისი

9 ივლისს, ხაბაროვსკიდგან გამოგზავნილი დეპეშა გროდეკოვისა: „გემმა „ოდესსამ“, რომელიც 3 ივლისს ხარბინიდგან გამოვიდა და 8 ივლისს ხაბაროვსკში მოვიდა, შემდეგი ცნობა მოიტანა ინჟ. იუგოვიჩის მიერ გამოგზავნილი: „ტელინის რაზმი, რომელიც 200 კაცისაგან შესდგება, ტელინიდგან 24 ივლისს გამოვიდა; თან რაზმმა წამოიყვანა მრავალი ჩინელი ქრისტიანე ცოლშვილით. გამოსვლისათანავე განსაცდელი მოელოდა. რაზმი რომელიც სამის დღის განმავლობაში შუანძიაოძისაკენ იწევდა (შუანძიაოძი მდებარეობს ტელინიდგან ჩრდილოეთით 100 ვერსის მანძილზედ) და რომელსაც მტერი ფეხ-და-ფეხ მისდევდა, რამდენჯერმე იძულებული შეიქმნი ხიშტებისათვის მიემართა. ღამის გასათევად რაზმი შუანძიაოძში მივიდა მოლილ-მოქანცული. მეორე დღეს დაეცნენ ამ რაზმს მოკრივეთა მთელი ბრბოები და დიდად დაახარალეს. „ჯერ ისევ 27 ივლისს, საღამოს 5 საათზედ, რაზმში ბევრი დაჭრილი იყო; ტყვიაც შემოაკლდა რაზმს. შემდეგ იუწყებიან, რომ ტელინიდგან ჩინელებმა ზარბაზნები მიიღესო. ამ ამბების გამო შუანძიაოძის ჩრდილოეთით მყოფ სადარაჯო ჯარებიდგან გაგზავნეს ტელინის რაზმში 70 ყაზახი და 15000 ტყვია. შუანძიაოძის ჩრდილოეთით მოსამსახურეთ ებრძანათ, სხვა სადარაჯო ჯართან ერთად წასულიყვნენ მე-2 სუნგარამდე, რომელიც ხარბინის სამხრეთით 120 ვერსის მანძილზედ მდებარეობს. მოსამსახურენი იქ 1 ივლისს მივიდნენ. მე-2 და 3 ნაწილის მოსამსახურენი მე-2 სუნგარში შეიკრიბნენ და ხარბინში მატარებლით წავიდნენ. ხარბინში მოვიდნენ მთავარ ლიანდაგის სამის დასავლეთ ნაწილის მოსამსახურენი აგრეთვე სამის აღმოსავლეთ ნაწილის მოსამსახურენიც. ყველანი, ვისაც კი ხარბინში წასვლა ჰქონდა ნაბრძანები, მშვიდობით მოვიდნენ. მე 2 ნაწილის და აგრეთვე ინჟინერის სვიაგინის მოსამსახურეთ წასვლა არ ებრძანათ, რადგანაც იმედი ჰქონდათ, ნიკოლსკიდგან ჯარს მიაშველებდნენ. ხარბინში საჯარაჯო ჯარის 700 კაცია, ქვეითი და ცხენოსანი. ამ ჟამად გემებით ვგზავნით დარჩენილ ქალებსა; ბავშვებსა და მუშებს და ზოგიერთ მოსამსახურეებს; დანარჩენნი ხარბინში გაგზავნილ რაზმს დაუცდიან. რაზმის დაბრუნებისას შესაძლებელად ვსცნობთ ხელ ახლად დავიჭიროთ მიტოვებული ადგილები გზისა, ამასთან იარაღს მხოლოდ მეამბოხეთა წინააღმდეგ ვიხმართ. ძიან-ძიუნს იმდენი ძალა არ შესწევს. რომ გაჭირვების დროს შეიკავოს ფანატიკოსობით გატაცებულ მცხოვრებნი, რომელნიც აქამდის მშვიდობიანად უმთავრესად იმიტომ არიან, რომ მცხოვრებთა უმრავლესობა თინაგრძნობით უყურებს გზას“.

ინჟინერი რიჟოვი დონიდგან 4 ივლისს დეპეშით იუწყება: „მეორე ნაწილის მოსამსახურენი და მუშები, რომელნიც აბაგაიტუისაკენ გაემართნენ, მშვიდობით მოვიდნენ რუსეთის საზღვრებზედ. ზედამხედველი პერმიკინი ცოცხალია“.

ინჟინერი ოფფენბერგი დონიდგან 9 ივლისს დეპეშით იუწყება: „8 ივლისს მე 5 ნაწილის აგენტებთანა და მუშებთან ერთად ძველ-ცურუხაიტუიში მოვედი“.

**ვენა.** ლაპარაკის დროს მილანმა უკმაყოფილება განაცხადა მეფის დანიშვნის გამო. მილანმა ითხოვა მთავარ-სარდლის თანამდებობიდგან გადაყენება. მეფე ალექსანდრემ შეიწყნარა იმისი თხოვნა და თანამდებობიდგან გადააყენა,

**ლონდონი.** გენერალი ბროდვუდი კრონშტადტიდგან იუწყება: „6 ივლისს დევეტთან ცხარე ბრძოლა მოგვიხდა პალმიტფონტენთან; დაღამებამ ნება აღარ მოგვცა დავდევნებოდით მტერს. ინგლისელებს 5 კაცი მოუკლეს და 16 დაუჭრეს. მტერმა ღამე ბორდეკრალისაკენ დაიწია. ფიქრობენ, რომ მტრის რაზმი 200 კაცისაგან შესდგება და ოთხი ზარბაზანი აქვთ. რაზმს უფროსობენ შტეინი და ორივე დევეტი.“

კელლიკენი ბლუმფონტენიდგან 9 ივლისს დეპეშით იუწყება: „რკინის გზა მონინგსპრუიტის ჩრდილოეთით წარსულ ღამეს წაახდინეს; მასაშველებლად წასული მატარებელი, რომელშიაც 100 გცილენდერი იყო მტერმა აიღო; მტრის მოზრდილი რაზმი გონინგსპუიტზედ მიდის. პრეტორიასთან მიმოსვლა შეწყვეტილია. მეორე და მესამე საკავალერიო ბრიგადები მტერს დაედევნენ“.

**ბითლეემი.** მზვერავი რაზმი გუშინ ბითლეემის დასავლეთით მტრის ძლიერს პოზიციას წააწყდა. ბრძოლა მოხდა. ინგლისის რაზმი საკმაო ვერ აღმოჩნდა ბურების გასადევნად, ინგლისელებმა ერთი გორაკი დაიჭირეს მაგრამ დაბნელებისას იძულებულნი შეიქმნენ უკან დაწეულიყვნენ. რაზმმა დაჰკარგა ერთი აფიცერი და 9 ჯარის-კაცი. ამ ჟამად მცირე ბრძოლაა გორაკებზედ, ქალაქის მახლობლად.

# განცხადებანი

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა III მორიგი

კრების გასარჩევ საქმეთა

## პროგრამმა

კრება დანიშნულია ამა 1900 წლის 26-ს ივლისს, ქუთაისში, კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსის თანაშემწის, სტატსკი სოვეტნიკის მ. ი. ჩენგერის თავმჯდომარეობით.

1. არჩევა კრების მდივნისა.
2. განხილვა ანგარიშებისა: კრების რჩევისა, ვაგონთა დამნიშვნელის კომიტეტისა და ფულის შემოსავალ-გასავლის შემამოწმებელ სარევიზიო კომისიისა.
3. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
4. ქუთაისის გუბერნიის გამგეობის მიერ ჭიათურის ქსენონის გადაცემა შავის-ქვის მრეწველთა კრებისათვის და მადნის მუშათათვის მუდმივის საავადმყოფოს გამართვა.
5. ადგილების შეძენა კრების საჭიროებისათვის და კრებისთვის საჭირო შენობების აგება.
6. შორაპნის შავი-ქვის მადნებზე მეთვალყურე მთავრობის მიერ განწესებულ შტეიგერთათვის დანიშვნა დამატებითის ჯამაგირისა მადნებში სამსახურისთვის თვითეულ ხუთი წელიწადისთვის 100 მან.
7. რა წესი და რიგი უნდა იქმნას შემოღებული შავი-ქვის ხარისხ-ხარისხად დაყოფისა, რომ შავი-ქვის გასაღება რიგიანად სწარმოებდეს.
8. ტეხნიკურის კომიტეტის დაწესება შავი-ქვის მადნების დასაცავად.
9. გაყვანა გზა-ტკეცილებისა და გაუმჯობესებულ მისავალ გზებისა: მავთულის გზებისა და მეხანიკური მოწყობილებისა შავი-ქვის საზიდავად მადნებიდამ.
10. ჭიათურის პოსადად გადაკეთება და მარტივის საზოგადოებრივის თვით მმართველობის შემოღება ჭიათურაში.
11. მომრიგებელი სასამართლოს დაწესება ჭიათურაში.
12. სტატისტიკური ცნობანი შავი-ქვის მადნის ამოღებისა და გაზიდვის შესახებ.
13. შტეიგერთა ინსტიტუტის რეორგანიზაცია.
14. სამრეწველო პოლიციის რეორგანიზაცია.
15. საპენსიო კასსის ანუ მუშათა დამზღვევი საზოგადოების დაწესება და საერთოდ შავის ქვის მადნებში მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ზომათა მიღება.
16. სამთო სკოლებში სტიპენდიების დანიშვნა პირველის კრების დადგენილების თანახმად.
17. $^3/_4$ კაპეიკის გადასახადის დადგენა $^1/_2$ მაგიერ და იმ გადასახადის გავრცელება იმ ქვაზედაც, რომელსაც ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებიდგან ეზიდებიან, ხოლო რომელიც ამ სადგურებზედ მოაქვთ ჭიათურის რკინის გზით-კი არა, არამედ ურმებით და ცხენებით.
18. შავი-ქვის გაზიდვას ხომ არ აბრკოლებს რამე — ან რკინის გზის მხრივ, ანა და ფოთის ნავთ-სადგურის მხრივ.
19. შავი-ქვის გამგზავნელებს როგორ დაენიშნოთ პლატფორმები და სასურველია თუ არა ამ საგანზე ეხლანდელი წეს-რიგი დარჩეს ძალაში; აგრეთვე საფუძველი და წეს-რიგი იმისა, თუ შავი-ქვის მრეწველებს როგორ დაენიშნოთ მადნის გადასატანად დანიშნული ვაგონები.
20. მოსამსახურე პირთა არჩევანი:
    - ა) რჩევის თავმჯდომარისა.
    - ბ) რჩევის წევრებისა.
    - გ) შავი-ქვის მრეწველთა წარმომადგენლისა სამადნო საქმეთა საკრებულოში.
    - დ) ვაგონთა და საწყობთა დამნიშვნელის კომიტეტის წევრთა და მათის კანდიდატებისა.
    - ე) შავი-ქვის მადნების მეთვალ-ყურე სატეხნიკო კომიტეტის წევრებისა და მათის კანდიდატებისა, თუ ვინიცობაა ამისთანა კომიტეტის დაარსება კრებამ საჭიროდ დაინახა. (3—6.—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Іюля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე